

0. 203

„ ത്യാഗിനി ൽ പ്രസിദ്ധീകൃതം “

1917

Godman  
11/13/30  
11/13/30  
11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30

11/13/30  
11/13/30



1917 (თებერვალი)

# მატრიკა

# საშუალო

საშუალო სალიტერატურო ჟურნალი

№ 1—1917  
კვირა ნანახარი 1

მიიღება ხელის მოწერა  
დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ.

წამ. მისთვის  
გამოცემისა 15 კ.

მოგვილოცავს ახალი წელი

5871



კვდება ძველი, გაუმარჯოს ახალს  
(ნახატი ლ. გულიაშვილის)



## შინაარსი

- 1, მეთაური—ახალი წელი—ახალი წმენა . 2
- 2, გ. ქუჩიშვილი—ხევის ერს . . . . . 4
- 3, ივ. გომართელი—სასახლწლო . . . . . 8
- 4, ვალაგტიონ ტაბიძე—დედა დღისათვის . 4
- 5, შალვა დადიანი—რა მოგვიტანს ომმა . 5
- 6, პარენ გოთუა—ზატარა წერილები II . 6
- 7, ვასო ურუშაძე—გელოცა გურულმა . . 7
- 8, ს. აბაშელი—სუმბუდი . . . . . 8
- 9, იოსებ არიმათიელი—მივიწეებუდი კუთხე  
და მისი ჭირისუფალი . . . . . 9
- 10, დარია ახვლედიანი—ომში წასულ  
შვილებს . . . . . 11
- 11, გრ. საქარქედელი—მოსე მწერალი . 10
- 12, გუგული—ზემანი . . . . . 13
- 13, ანნა ვართაგავა—რანი უფიქრანს! . . 14
- 14, ვ. ათანელიშვილი—დაჭრილი მეც  
ხვარე . . . . . 15
- 15, იზიდე—სასახლწლო გოზინაეი . . . . . 4

# მ თ გ ი ლ ო ც ა ვ თ ა ხ ა ლ წ ე ლ ს!

## ი ა ნ შ რ ი ს 1

ახალი წელი — ჟამთა სრბოლამ კიღვი ერ-  
ახალი რწმენა თი წელიწადი ჩაიარია...

გასულმა წელმა, ვინ უწყის, რაოდენი  
მწუხარება არ მიაყენა საზოგადოთ კაცობრიო-  
ბასა და კერძოდ ჩვენს ქვეყანას

მაგრამ ამ მწუხარებაში, გასული წლის  
სისხლის ღვრასა, დამყარებულ საზღვრების  
ნგრევასა და ძველ რწმენათა განადგურებაში,  
ახალი რწმენის, ახალი ქვეყნის აღშენების ჩა-  
ნახახიც ჩაინაქეთა...

კაცობრიობამ დაინახა, რომ ძველი რწმე-  
ნა-აღათებით ცხოვრება შეუძლებელია და ახა-  
ლი გზების ძიებაშია...

აგრედღე ჩვენი ქვეყანაც დარწმუნდა,  
რომ ძველ რწმენა-აღათებით ცხოვრება, გაკ-  
ვალული გზით სიარული ჩვენს თვითშეფთვბას  
არ მოუხდება... ვისაც კი აზრი და დაკვირ-  
ვების უნარი შესწევს, დანახა რომ ზევიდან  
მხოლოდ კაცას გვბირდები ნ, მოცემით კი  
არას ვგაძლიერენ და ამიტომ ჩვენი ქვეყნის სა-  
ერთო ცხოვრების გასაუმჯობესებლად მხო-  
ლოდ თავის საკუთარ ძალ-ღონეს უნდა და-  
ვიყრდნოთ...

ეს შეგნება ჩაისახა და თანდათან ღრმავ-  
დება...

ამაშია ჩვენი ბრწყინვალე მომავლის  
წინდიც...

სწორედ ამისათვის ჩვენს ქვეყნის ყო-  
ველმა შეგნებულმა შეიღმა, ერის კაცმა და  
სასულიერომ, ვაჟარ-მრეწველმა და მუშამ,  
მოწინავე წოდებამა და გლეხკაცობამ, იმი-  
რელმა და ამერელმა, ქრთღელმა და რაქ-  
ველმა, კახელმა და გურულმა, მეგრელმა,  
სენმა ი უ ლ ზ ი ა, ქართლოსის შთამომავალთა  
ყოველი სარწმუნოების მიმდევარმა ქართველ-  
მუსულმანმა, ქართველ გრიგორიანმა, ქარ-  
თველ - ქრისტიანმა, ქართველ-კათოლიკემა  
და სხვამ ხელი ხელს უნდა გაუწოდოს ერთის  
შეგნებით, რომ ჩვენი ასაღი წლის გათენება  
მხოლოდ შეთანხმებულისა და შეუჩერებელის  
ფხიზელი მუშაობით შეიძლება; მტკიცე რწმე-

ნით გავსწიოთ წინ იმ თვითშეგნების განსა-  
მტკიცებლად და ცხოვრებაში გასატარებლად,  
რომელიც გვიკარნახებს: შენი თავის პატრო-  
ნი შენვე უნდა იყოვო.

ამ რწმენით გილოცავ ახ ლ წელს, ბრწყინ-  
ვალე მომავლის, ჩემო საყვარელო მკითხველო  
და მრავალწამებულო სამშობლო ქვეყანავ!..

ჩვენი ერის გათვითცობიერებისა და წინ-  
სვლის უდიდესი იარაღი — თქატრა, — ვიღამ არ  
იცის, რომ ერთის მხრივ თუ გაფართოვდა,  
მეორეს მხრივ დაკნინდა: მას ეკირვება განაზ-  
ღება, ახალი სულის შთაბერვა...

და ეს ვის შეუძლიან, თუ არა ახალ ძა-  
ლას, სიცოცხლთა და თვითმოქმედების უნა-  
რით აღგზნებულს!..

გასულ წელს, სისხლის წვიმებისა და ოხვ-  
რა-კენცის ჟამს, მკითხველო ჩემო, შენის  
ზნეობრივ ნივთიერის დახმარებით პარნათლად  
გამოვედით ქვეყნის წინაშე და ამა ახალ წელ-  
საც ამ იმედით ვიწყებთ საქმეს...

გაუმარჯოს მკითხველო შენს ყოველი სა-  
სიკეთო მისწრაფებას!..

გაუმარჯოს ჩვენს ასაღ წელს!



## ჩემს ერს

- ერო ჩემო, გვემულო,
- გენაცვალე გულითა;
- ხუნდებით დაცემულო
- აღზღექ მტკიცე სულითა!
- შენის სენით სნეული
- ვკენესი შენივ წყლულითა;
- შენ გოგალობ, გაღიდებ,
- ციურსიყვარულითა!
- კმარა რაც მონობაში
- ცხარე ცრემლი გღენია;



აკაკი მეთოდის-ძე ხოშტარია  
ცნობილი მრეწველი და ქველმოქმედი, ბაქოს დრამა-  
ტიულ წრის თავმჯდომარე

# სასხლწლო

წელიწადი ურმის თვალისით ტრიალებსო, ამბობს ჩვენი ხალხი.

სწრაფათ გადატრიალდა წარსული წელი და ჩაჰქრა; ჩაიძირა ეამთა მარადისობაში; ჩვენ კი დაგვიტოვა ცრემლები, ტირილი, ტირილი და მხოლოდ ცრემლები.

საშინელი რამ არის ტირილი. მასში გამოხატულია ადამიანის მთელი უძლურება, უმწეობა, სიბეჭავე, არარაობა, სიფუტე, წარმავალობა.

როდესაც ბავშვი დაიბადება, სანამ მშობელი დედა მოასწრებდეს ამბორს, ტირილი დაიკონება ნორჩ, უმანკო ტუჩებს და შემდეგ თან დასდევს მას საფლავის კარამდე.

გლოვა-ტირილში, ცრემლთა ნაორთქლში იბადება ახალი წელი.

შორს ტირილი და ცრემლები!

მივეგებოთ მას მხიარულნი, ამაყნი, შეუპოვარნი, გულ-მტკიცენი სიცალით, ცეკვით, სიმღერით, დაფითა და ნაღარით!

მერე რა გვაქვს სამხიარულო და საცინარო, იკითხავს მკითხველა.

სწორეთ ამიტომ უნდა ვიცინოთ, ვამხიარულოთ, რომ სამხიარულო არაფერა გვაქს. თქვენ გგონიათ მწუხარების დროს ადამიანს ტირილი ჰმართება?

მე კი მგონია, დაწმუნებული ვარ, რომ მწუხარების დროს ადამიანს მხოლოდ სიცილი ჰმართება. სიცილი — მტი არაფერა.

ცრემლი ტირილის შვილია, — უმწეობის, უძლურების მუდმივი თანამგზავრი.

სიცილი კი ს ბრძნის შვილია, — ძლიერების, ფოლადი გულის მხლებელი.

თქვენა გგონიათ, სიცილი ყველას შეუძლია?

აჰა!

მე იმ სიცილზე არ მოგახსენებთ, რომელსაც თიასის აწევა, ან ილლიაში ლიტინი გაპოიწვევს ხოლმე.

სიცილი, ცეკვა, სიმღერა უდიდესი განსაცდელის წინაშე, უდიდესი უბედურების მოლოდინში; სიცილი, ცეკვა, სიმღერა თვით სიკვდილის წინ, — რა დიდებულა, რა სანეტაროა!

ნეტარება მას, ვისაც ეს შეუძლია. რა საცოდავია, რა უძლურია ყოველგვარი უბედურება, თვით სიკვდილიც კი ასეთი ადამიანის წინაშე!

გავკაყებივარ შავბედსა,

დავდივარ შევუპოვარი!

ვისაც სიცილი არ შეუძლია, სიცილი გმირული, ის შავბედს ვერ გაუკაყდება, ის ვერ ივლის შეუპოვარი.

სწორეთ ჩვენთვის არის საჭირო შავბედის წინაშე გაკაყება და შეუპოვრათ სიარული, რადგანაც საქართველოს ცა დიდი ხანია, ჭირზედ ჭირის მთოვარია.

მაშ ვიცინოთ, ვიმხიარულოთ: გაუმარჯოს სიცილს!

როდესაც მთელ საქართველოს წყევლა-კრულვას უგზავნიდენ, ქართველმა ერმა ხმა ვერ ამოიღო, რადგანაც ის ტირილში იყო

გაწერთნილი. მხოლოდ დიმიტრი ყიფიანმა აამალა ხმა და დაიდგა თავზე წამებულის გვირგვინი.

გავკაჟდეთ და ვიციანთ შავი ბედის წინაშე და თუ ვინმე გაჰბედავს და კრულვით მოიხსენიებს ჩვენს სამშობლოს, ჩვენ ყველანი, მთელი ქართველი ერი ამოიღებს ხმას, როგორც ერთი ადამიანი.

მაშ გაუმარჯოს სიცილს, გმირულ სიცილს!

როდესაც ჩვენს ენას ძაღლის ენა უწოდეს, ჩვენ ყველანი ვსდუმდით,—თითო-ორთა პირის გულის წყრომა გაისმა მხოლოდ.

გავკაჟდეთ და ვიციანთ შავი ბედის წინაშე.

და თუ ვინმე გაჰბედავს და ჩვენს ენას თავბეღურათ შეეხება, ჩვენ ყველანი, მთელი ქართველი ერი, როგორც ერთი ადამიანი, გასცემს პასუხს.

მაშ გაუმარჯოს სიცილს, გმირულ სიცილს!

როდესაც თამარს—საქართველოს თავისუფლების, ერთობის, ძლიერებისა და კულტურის სიმბოლოს—უზრდელათ, ბრიყველათ შეეხენ, ჩვენ ყველანი ვსდუმდით.

გავკაჟდეთ და ვიციანთ შავი ბედის წინაშე.

და თუ ვინმე გაჰბედავს და ასეთს ველურობას გაიმეორებს, ჩვენ ყველანი, მთელი ქართველი ერი, როგორც ერთი ადამიანი, ფეხზე დავდგებით ჩვენი სიწმინდის დასაცავათ.

მაშ გაუმარჯოს სიცილს, გმირულ სიცილს.

ტირილი და ცრემლები ადამიანს აღუწებენ, აბეჩავენ, მოქმედების უნარს უკარგვენ.

სიცილი კი ადამიანს ამხნევეს. ფოლადებს, ძალ ღონეს ჰატებს და სამოქმედოთ იწვევს.

სიმტკიცე და მოქმედება ისე არასოდეს არა ყოფილა ჩვენთვის საჭირო, როგორც დღეს.

მტერი ჩვენ ბევრი გვყავს, მოყვარე კი ცოტა. ჩვენი ძალა და ჩვენი ხსნა მხოლოდ

მოქმედებაშია და არა მრავალ სიტყვაობაში. ქართველი ერის მოსპობა,—აი ჩვენი მტრების მიზანი.

საქართველოს აღორძინება, ტერიტორიული თვითმართველობის მოპოება,—აი ჩვენი ახლობელი მიზანი.

მიზანს კი მოქმედება დაგვიახლოებს და არა ჩივილი და ცრემლები.

ვინც ცრემლებსა ღვრის, ის ვერაფერს გააკეთებს; ვინც სიკვდილსაც კი სიცილით უხვდება, საქვებს ის აკეთებს, მისია მომავალი.

მაშ სიცილით, გმირულის სიცილით შევეგებოთ ახალ წელს და შეურყევლათ, მტკიცეთა გვწამდეს ჩვენი მომავალი!

*ავტორი*

### დედაო ღვთისაჲ!

დედაო ღვთისაჲ, მზეო მარიამ, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი—

ჩემი ცხოვრების გზა—სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე.

შემოიღამებს მთის ნაპრალები და თუ როგორმე ისევ გათენდა,

ღამე ნათევი და ნამთვრალევი დაღლილ ქალივით მივალ ხატეთან.

ღამე ნათევი და ნამთვრალევი მე მივეყრდობი სალოცავ კარებს...

შემოიქრება სიონში სხივი და თეთრ ოლარებს ააელვარებს.

და მაშინ ვიტყვი: აჰა, მოვედი გედი დაქრილი, ფრთების ცახცახით,

შეხედე, და ტები ყმაწვილურ ბედის დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!

შეხედე, დასტები... ჩემი თვალები წინეთ რომ ფეთქდენ ცერებით, იგებით,


ღამე-ნათევი და ნამთვრალევი სავსეთა ცრემლთა შურისძიებით.

დასტები.. ასეა ყველა მგოსანი? შენს მოლოდინში ასეა ყველა?!

სული ლურჯფრთეა და მეოცნებე შენს ფერხთქვეშ ევდება, როგორც პეველა!

მოვკვდები ასე ნელი და ნაზი, მაგრამ როს კუბო მომეჩვენება,

განსასვენებელ ზიარებაზე  
შენთან არ მოვა ჩემი ხსენება...  
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით  
გამაქანებენ სწრაფი ცხენები...  
ღამე-ნათევი და ნამთვრალევი  
ცივ სამარეში ჩავესვენები.  
დედო ღვთისავე, მზეო მარიამ,  
როგორც ნაწვიარ სლაში ვარდი,  
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული ცის სილაყვარდე.



## რა მოგვიტანა ომმა?

მასუნი ადვილია თითქო:

უწინარეს უოფლისა უხვად დაღვარა სისხ-  
ლი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო, ჭან-სადი ნაწილი-  
სა, დაამკლავიანათ ათასობით ოჯახი, დამშა-  
სოფელი და ეკონომიურად შეავიწროვა საზოგა-  
დოთ ვეველა მცხოვრები.

ხალხი თუ ერთის მხრით გაჭირვების  
პირს მიგვაყენა, მეორეს მხრით ჩვენ თვალით  
წინ გადაიშალა სულ სხვა ჭორიზანტი, სულ  
სხვა ასავალ-დასავალი, რომელიც ჩვენს გარ-  
შემო სუფევდა თურმე, მხოლოდ რომელსაც  
თურმე ჩვენ ვერ ვცნობდით.

ამოძრავს სოფელი და ქალაქი თვით მო-  
ქმედებისათვის, გაჭირვების ხელის გამოხადე-  
ბათ. შეჯგუფდა სხვა და სხვა ელემენტები ერ-  
თად, დააკავშირა და ბრძნულად ასწავლა, რომ  
საერთო ორგანიზაციისათვის ხსნა.

ეს მოხდა პრაქტიკულ ცხოვრებაში.

მაგრამ—რაც უმთავრესია— გაეინულის წერ-  
ტილიდან დასძრა ქართული აზროვნება.

მხდალნი და გაუბედავნი, რომელნიც ომის  
დაწვებამდე ისევ ღაქიურ მთლიანობას ეწეოდნენ,  
დღეს ააღმარაკა პირდაპირ და მოურიდებლათ,  
სკეპტიკები მოაჩვენა, გადაგვარებულნი სამშო-  
ბლოსაკენ მოახვდა, ხალხი დამაბუნებულ მებრ-  
ძლოთ კვლავ გმირული სული შთაბერა.

მართალია ეველა ეს მხოლოდ ისახვის ჭერ-  
ჭერობით, ჭერ კიდევ მკრთალია მისი ანარქი-  
ლი შუქი, ჭერ კიდევ მტკიცე და მყარი მარ-  
მარულია ან არის ჩამოხსნილი, ჭერ კიდევ

საერთოდ გამტკიცებული ვერ არის, მაგრამ ერ-  
თი კი ცხადია—ვეღარაგინ ვერ დამალავს, ვერა-  
ვინ მის ტლანქ ხელს ვერ გადააფარებს, რომ  
იშუა უკვე და მძლავრ გამოძახილათ გადატე-  
ხილ-მარეს:

ქართული აზრი.

ამაზე ღაზარაკი უკვე სირცხვილი აღარაა.  
ანაგინ არ ჩუმობს ამის შესახებ. სხვა და  
სხვა გზით, ზოგი ირობათ, ზოგი პირდაპირ,  
ქართულ იდეისაკენ მიდიან.

ეს იცის უკვე ჩვენმა ქვეყანამ. იცის იმა-  
ნაც, ვისაც ამის მოსმენა გულის უკლავს. იცის  
იმათაც, ვისგანაც „ჭერ არის“ ამისი ცოდნა.

ერთის გადახედვით ესეთია დღევანდელი  
ჩვენი ვითარება.

და შეუძლებელია უკვე აქ შედგება... ნა-  
ბიჭი წინ, კიდევ ნაბიჭი და... დადგება ჭამიც  
ჩვენი მოწესრიგებისა.

მხოლოდ ამავე დროს რასა იქმნ თვით  
ამ ცხოვრების გამომსახველი, ან, როგორც ზო-  
გნი იტყვიან, ამ ცხოვრების შემქმნელი ხელო-  
ვნება?

მკლეთ გადაწყვეტათ: დიტერატურაში ჭერ  
კიდევ პუბლიცისტიკაა გამოეუბული.

მხოლოდ ეს პუბლიცისტიკა ძალიან უახ-  
ლოდება ბელეტრისტიკას.

ანასოდეს ჩვენში არ უოფილა პუბლიცის-  
ტიკა ესე სიტყვა-გაზმული, ესე ფერადოვანი,  
ესეთის სამკაულებით მორთული, ესე მხატვრული.

თვით ისინიც, ვისგანაც ნაკლებ მოსალო-  
დელი იყო, ცდილობენ მხატვრულ თხზვას.

ისწავლეს წერა.

ზოგიერთ სტრიქონებში თითქო გვენის  
კიდევ მომავალი მზიური ბელეტრისტიკა.

მხოლოდ თვით ბელეტრისტიკა ჭერ კიდევ  
სდუმს უკეთეს მომავლის მოლოდინში და თუ  
ერთის მხრით პუბლიცისტიკაში იკლავს უინს,  
მეორე მხრით კვლავ ღაქიების მოკვდილ მძი-  
ვებში ფართქლებს და „მარიშურებს.“

დღევანდელი ჩვენი ღაქიც თავის სამიჭ-  
ნურს საქმეს კოხტად აკეთებს.

მაგრამ აი აგერ იდეები ქართული, აქამდე  
მთვლემარე მხატვრობა: უკვე ისახება ძებნა მშო-  
ბლოურის სტილისა. უკვე დაიწყო გაუბედავი  
ცდა საღებავთა მეთხებით ჩვენი ისტორიული

ხვედრის გამოკვეთისა; ჩვენ სააკაკო ჩუქურთმა-  
თა, შუკრდახილეებისა და ხრახნილების საიდუმ-  
ლოთა ჩაწვდომისა; ჩვენი მცხუნვარე მზის სხივ-  
თა შეკრებისა.

მაშ რადასა იქმს ამ დროს უდიდესი და-  
ტი ჩვენის ხელმოწერებისა, მრავალ ტანჯული ქარ  
თული თეატრი? მისი ნაწილი დრამატურგია, თვით  
მისხიობნი და სხვ?

ფრანგები ამბობენ - დამდრწვალის ხახლში  
თოკზე არას იტყვიანო. ეს ნამდვილი ფრანგული  
ზრდილობაა და მეც ამ ზრდილობის გამო რა  
უნდა ვთქვა?

მიუთქვამს ბევრი.

ვისაც აინტერესებს ჩემი აზრი, იცის კარ-  
გათ, რომ მეც ერთი რუკაუთფილოთაგანი ვარ.

უთუოდ კადვე შექმნება ამაზე დახარაკი.  
ეს უფლება არ მინდა ჩემ თავს წავართვა.

დღეს დღეობით კი ისედაა სანუგეშო, რომ  
თეატრის საქმეს კვლავ ფართო საზოგადოება  
აქტუალს უურადლებას, ბევრი გულწრფელი და  
გზიანი რჩევა მოცემული. ჩვენც, ვისაც რა შე-  
გვიძლია, მუშაობას ნუ დავიშურებთ და ამ საქ-  
მეშიაც მომავალს

სამხნით შევხვდეთ.

*მ. ჯუღაშვილი*

### პატარა წერილები!

#### II

ჩვენ ვამტიკებდით:

რუსეთის მმართველი ბიუროკრატია ჩვე-  
ნი ერობას ან სულ არ შემოიღებს, არსე-  
ბულ საზოგადო პირობებში ვერც შემოიღებს,  
და თუ შემოიღო, ახლო მომავალში მაინც  
(ესე იგი რამოდენიმე წელში) ჩვენ ვერ ვე-  
ლირსებით თვითმმართველობის განხორციე-  
ლებასო.

ეს ჩემი ღრვა რწმენა აღმოცენებულია  
ხანგრძლივ დაკვირვებასა და უტყუარ ფაქტე-  
ბზე.

რუსეთის მთავრობას ისტორიულად აქვს  
გარკვეული თავისი პოლიტიკური დანიშნუ-  
ლება, თავისი მიზანი, თავისი მტკიცე გზა.

რვანე კალიტრიდან დაწყებული ჩვენ დრო-  
მდე მრავალი სუკუჩნების განმავლობაში, ამ  
გზით აუჩქარებლივ, ნელ ნელა, მაგრამ გაბე-

დულის ნაბიჯით მიმდინარეობდა რუსეთის  
ცხოვრება. ამ გზამ გააერთიანა რუსის ტომი,  
მან დაუმორჩილა დაუსისხლ-ხორცა მრავალი  
სხვა ერებიც, რომელნიც კი ისტორიულად  
წინ ეხეჩებოდენ და მის ტალღას ქვეშ ჰყვე-  
ბოდენ.

ამ ტალღამ გადალახა ურალის მთები და  
მისტურდა დიდ ოკეანემდე. გადმოლახა კავ-  
კასიონის ქედიც და მიისწრაფვის ინდოეთის  
ოკეანემდე.

სტამბოლის დაპყრობა, დიდი სომხეთის  
მთა გორების შემოერთება, ეფრატის ყაძახ  
რუსების შექმნა, რის შესახებაც გაისმა მედ-  
გარი ხმა სახელმწიფო სათათბიროში, სრუ-  
ლებით არ არის უნიადაგო ოცნება, არამედ  
გაგრძელებაა იმ მტკიცე და შეურყეველი პო-  
ლიტიკისა, რომელიც ძვალ-რბილში აქვს გა-  
მჯდარი ნამდვილ რუსს, არის ის მემარცხენე  
დებუტატი, დიდი მოხელე, თუ პატარა „დე-  
ლოპროიზვოლიტილი.“

ამ ისტორიული გზის დედა ბოძი და ს-  
ძირკველია განაპირა ქვეყნებში არა თვით-  
მმართველობის შემოღება, არამედ სრული  
შტეტვისტომება, სრული გათქვეფა და ნაციო-  
ნალური ვინაობის უარყოფა.

ციმბირი დიდხანია მომზადებულია ერო-

ბისათვის, დიდხანია კანონპროექტიც შემუ-  
შავებულია, მაგრამ ერობა კი ვერ შემოიღეს.  
ოფიციალურად მიხვხად ის დასახელები, რომ  
პროექტი ძლიერ ლიბერალურად არის შემდ-  
გარი და ყოვლად შეუძლებელია იქ აღვი-  
ლობრივ ხალხს მეტი უპირატესობა მიცეთ,  
ვიდრე თვით რუსეთის შიდა გუბერნიებში  
არისო. არხანგელსკის გუბერნიაში

ერობის შემოღება თითქმის გადაწყვეტილად  
ითვლებოდა, კანონპროექტიც წარმოდგენი-  
ლი იყო, მაგრამ უკანასკნელ დროს პროექტი  
უარჰყვეს იმის მიხეზით, რომ ამ გუბერნიაში  
თავად-აზნაურობა არ არსებობს, და ისე კი  
ერობას ხალხი ვერ ვაუძღვებო, თუმცა კი  
ვიატკის გუბერნიაში, სადაც თავად-აზნაურო-  
ბა არ არის, ერობა დიდხანია არსებობს და  
მშვენევიდაც უძღვებინ.

პოლონეთის გუბერნიები ყველა განაპი-  
რა ქვეყნებზედ უფრო განათლებული და ერო-  
ბისთვის მომზადებული ხალხით იყო დასახლე-  
ბული, მაგრამ ერობის შემოღება უარჰყვეს და  
როდესაც ქვეყნის მტერი შემოესია, მაშინ  
გამაოცხადეს ავტონომია.

ყველასათვის ცხადია, რომ არსებულ პი-  
რობებში, სანამ ეს ისტორიული პოლიტიკა

ცვალებადობას არ განიცდის, კავკასიის ერობასაც დიდი საფრთხე მოელოს

ახლანდელი სამინისტროს მაგივრად რომ ლიბერალებიც ჩადგენ მილიუკოვიზა და ლეოვის ხელმღვანელობით, მაშინაც განაპირა ქვეყნებს იმედი არ უნდა ჰქონდესთ, რადგანაც ძველი ნაცადი გზა და პოლიტიკა იგივე დარჩება, მხოლოდ უფრო მოხერხებულად და უფრო ჩქარად წავლენ ამ გზაზედ ისტორიული დანიშნულების განსახორციელებლად.

რუსის „დელოპროიზვოდიტელი“ ისევ ისევ ძველებურად მტკაცებ დარაჯად ექოლებს ძველ გზას და ერობის შემოღების ნებას განაპირა ქვეყნებში სხვა და სხვა უმნიშვნელო მიზეზების შემწეობით არავის არ მისცემს. ასე იქნება, სანამ ის არ დაადგება ახალ გზას, რომლითაც აწარმოებს თავის დიად პოლიტიკას ინგლისის ხალხი, რომელიც ამბობს: რაც უფრო ფართო თვითმართველობას მიანიჭებ განაპირა ქვეყნებს და გამოიწვევ მარში თვითმომქმედებას, მით უფრო მტკიცე კავშირი და სულიერი ერთგულობით შეეკავრება ის თავის მფარველ დედას—ინგლისსაო...

*სახინ შოთა.*

### გილოცა გურუღმა (სტენა)

— კაჟანდა—ახალი წელიწადია, წმ. ბასილის მადლმა ყველას მრავალი გაგიტენოთ და დაგასწრაო... შუალამეზე გადასულიყო რომ ბესარიონ კალანდამის ოჯახი წამოიჭრა ზეზე ბუხარში ცეცხლს გუგუნი გაქონდა, ცხემლის შეშა ამ დღისათვის იყო მომზადებული... ბესარიონმა გადიკიდა მაქახელაი, ეილო ჩიჩილაკა, სურო, კურკანტელაით და გვირგვილით გაწყობილი; ხაქაპური, ვაშლი, სხალი და ფორთოხალი გვირგვინივით ქონდა თავზე გაკეთებული წმ. ბასილის წვერება...

სუფრა შემკობილი ღორის თავით და ტბილეულობით! გეექანა ჭურის თავზე გასალოცავად.. ყინავს, ცაზე ვარსკვლავები გადაქედლია.. ჩოურქო თოვლში ჩიჩილაკი.. დასვენა სუფრა სანთლებით გაჩადებული... ააპყრა ცას თვალები და გეილოცა: „ღმერთო და წმ. ბასილეს მადლო, შენ იყავა ჩემი ოჯახის შეწე და შემწყალებელი. მშვიდობით დამიბრუნე პრაპორჩიკი შვილი. კაი ბედა

მიეცი ჩემს გოგოს პელაგიას, მიცოცხლე ცოლი და დანარჩენი შვილები... მოზადლე სიწყნარე ქვეყანასა ამას, ბოლო უქენი ქვეყნის შემზარავს და მომპაობს ომს... შეაერთე და ძალა მიეცი ჩვენს მრავალტანჯულ ერს...

მომეც: ქონება და წარმოება აკაკი ხოშტარიასი, მარჯვენა ჯიბე ინტენდანტის დენერლისა, შნო და უნარი სპირტის რუსეთში გატანისა, თვალ-მარგალიტი—ჩვენი გაქურდულ მონასტრებისა, ავტოკეფალია—ჩამორჩენილ ხუცებისთვის, ერობა—დაბეჩავებულ გლეხებისათვის და შეგნება—ყველა ქართველისათვის...

მაშორე ღმერთო: თარეშობა—ყაჩაღებისა, გატაცება—ცოცხალი ადამიანებისა, შტაბი—რასპუტინისა, წელიწადში—ასჯერ გარეკა დუმისა, ჩამოტანა რუსეთიდან მატლიანი ფქვილისა, ქირი—უბატრონოთ დარჩენილ საქონელისა და ქათამი მადა-გადვიძებულ ბოქაულსა... აგუნაა, აგუნაა, შენი სვი და შენი ქამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო.“ და იგრილა მაქახელამ, ზე მიაყრა მეზობელს საფანტა

გეილოცა ბესარიონი და გოუდგა ოდასკენ, მიადგა კარებს და დააკაკუნა:

— კარი გამიღე?..

— ვინა ხარ, რა მოგაქვს?!

— ზავი და მშვიდობა მთელი ქვეყნისა, გამარჯვება და განთავისუფლება პატარა ერებისა... კარი გამიღე!

— ვინა ხარ, რა მოგაქვს?..

— რაც მოგიტანე იგი იქარე, გავყინდი, კარი გამიღე!..

გეილო კარი..

— შემოვდი ფეხი კალანდას, ბასილობასა გილოცავო...

*გაბრიელ*



# სწარსეთში დიდი მრეწველობის დამწეებნი 1912 წ.



აკაკი მეთოდის ძე გიორგი ბეჟანის ძე თ. პავლე იოსების-ძე  
 სოჭტარია გვაზავა თუმანი შვილი  
 ცნობილი მრეწველი და ცნობილი ვეჟილი, მწერა- ჟურ. ხაკალული -ს გამო-  
 ბაქოს დრ. წრის თავმჯდ. ლი და ბერანზეს მთარგ- მკემელი და ქართ. დრ.მ.  
 მნელი. საზ-ის თავმჯდომარე.

## სუმბული

გახსოვს, ტყის პირად, მთვარის შუქზე, ვკრფდით ყვავილებს,  
 ტყიდან გამოსულთ მთვარის ცრემლით პ რ-დასაბანად?  
 ღამის ღუმელში შუქ მდელიოზე ნაზად დახრილებს  
 ვკრფდით ყვავილებს და ვკონავედით თან წასატანად  
 წყნარი ყვავილი მთვარის ცქერით გატაცებული,  
 ფოთოლთ ცახცახით მოწყვეტის დროს შეირხეოდა,  
 ცრემლი მთვარისა, ჩუმ ფოთლებში მოთაესებული,  
 ვით დამსხვრეული მარგალიტი ძირს იფრქვეოდა.  
 და მე არ ვიცი ჩემი ბაგე ღიმ-გადაკრული  
 თუ როგორ მოხვდა განზე გაწვდილ შენს ბროლის თითებს.  
 შენ გულს მიიკარ მოწყვეტილი თეთრი სუმბული  
 და დაცქერდი მოციმციმე ცვარ-მარგალიტებს.  
 ციური გრძნობით ანთებული, შიშით აღვსილი,  
 ენა-დახშული შეგყურებდი თვალ-მორიდებით.  
 შენ-კი უსიტყვოდ იდგე ჩემ წინ და თავ-დახრილი  
 შეუბრალებლად გლეჯდი სუმბულს მთრთოლავ თითებით...  
 1913 წ.

*ს. ა. შუკ*

## ა ღ ბ ო მ შ ი

(თა—ს)  
 შენს ცაზე ღრუბელს არ ქონდეს არე,  
 დღე გინათებდეს მარად მზიანი,  
 ზურგს არ გიქცევდეს, ვინც შეიყვარე,  
 გულადი, მხნე და თავაზიანი.  
 სიკოცხლე მთელი ბრძოლათ ისაქე —  
 და განუწყვეტელ სიამოვნებათ

ვერ დაგიღარონ ბრწყინვალე სახე  
 გამოურკვეველ ქმუნვათ და ვნებათ.  
 და როდეს სევდა შეეპარება  
 მგზავრს, შენთან მავალს, შორი გზიანსა,  
 მისთვის უშრეტი ემატოს ძალა—  
 მაგ თვალებს ღრმას და სათნოიანსა...  
 გორი იახამანი,

# დავიწეებული კუთხე და მისი ჭირისუფალი

მავიწეებული კუთხე!

ვინ უწეის რაღენი მავიწეებული კუთხეა ხვეს სანმობ-  
ლოში, რომ მადლიანი კაცის ამაგს არ შეუშუქებია და, დუთის  
ანბრობაზე მიტოვებული, სიბნელისა, უსამართლობისა და კა-  
ტიჭამიობის წევლიაღში იფლობა!..

ერთი ასეთი კუთხეთაგანია სამხრეთ საქართველო—ბორჩა-  
ლო, წაღკა და თრიალეთის ნაწილი,—ანუ დღევანდელის სახელ-  
წოდებით, ბორჩალოს მაზრა, რომლის დიდებულ ქართველურ  
წინაუღის მწვეთა დღესაც მრავლად დაჩნებილი ტაძარ-ციხე-  
კოშკების ნანგრევები, სასაფლაოები, ტაგრები, ტყედატარქმნი-  
ლი ნაუნახობები, ძველი ნასოფლარები... და თუ ქართველის სის-  
ხლისა იოტი მანტ შეტრენიანთ, ღრმად ამოგიშინებთ: ყოფილბ  
ოღესდნ დიდებული საქართველო, თვითმომქმედი, საკუთარ  
კერის მტკიცე მფარველ წინაპართა მამული, დღეს კი ვერანად  
ქმნილი...

იყო დრო, როდესაც ეს განაზიარა კუთხე დედა-საქართვე-  
ლოს გულთან მტკიცედ იყო შეკავშირებული. და დედის გულის  
ფეთქვას, მანის ტემის ფხიზლად უურს უგდებდა, მისს ჭირსა  
და ღებინ იზიარებდა... ჭეკავდა სწავლა განათლებით და მეურ-  
ნეობით...

ახლა ბუნებრივი სიმდიდრე!

აქვე იყო ერეკლე მეფის ზარფხანა-ვერცხლის ფულის საჭ-  
რელი,—სმილენძის მადანი ალავერდისა ხომ დღესაც დიდს  
წარმოებაშია!.. დიად, დიდებული იყო დიდ ნაშენი, მაგრამ  
უმრად შემოსეულმა მტრებმა დასტეს და განადგურეს ამ კუთ-  
ხის მადლი კულტურა.. ვეღურთა ურდობაში მთელი სოფლები  
ამბოგეს და ნიავქას მისტეს... ხაჭქა სწავლა განათლებისა და  
მეურნეობა-მრეწველობის კერანია... გადაჩენილმა ქართველობამ  
დაჭკარვა უფველივე, თითქმის ენაც. ადგილობრივი შემამულე-  
მებატონენი ძლიერ ნაკლებ ზრუნავდენ თავის მასაზრდოებელ  
გლესთა კეთილდღეობისათვის და ამიტომაც იყო, რომ მთლად  
ეს კუთხე—ბორჩალოს, წაღკისა და თრიალეთის ქართველობა—  
განავგარების გზას დაადგა!..

დღეს მეტად უმწეო სურათს წარმოადგენს  
იგი: ქართველთა სოფლები აქა-იქ თუ მოიპო-  
ება, მკვიდრი ქართველობაც ისევე ცხოვრობს:  
როგორც მის გარემოებებში უფრო ხალხი:  
თარქამა თათრობა, სომხობა, ბერძნობა, შიგა  
და შიგ რუსობა და ნემენლობა (თუმცა ეს უკა-  
ნასენებანი ადგილობრივი მკვიდრებზე განცლებით  
მადლა სდგანან თვისი მეურნეობა-განათლებით).

თითქმის არსად სკოლა, არსად კულტურუ-  
დი ცხოვრების ჩანასახი,—ქართველი მღვდ-  
ლიც-კი იშვიათია, ქართველებს ბერძენთა მღვდ-  
ლი თუ მიხედავს ხოლმე, ისიც ადგომას, ანუ  
მიტვალელების დაკრძალვის დროს და ქართველ  
მრევლს თათრულად ელაპარაკება.

აი, სად იყო საჭირო არა მხოლოდ ძლიე-  
რი სიტყვის კაცი, მკვირცხლი კაღმოსანი, არა-  
მედ, უფრო მეტად, ძლიერი ხასიათის, მკვირც-  
ხლი მოძრობისა და ხალხის მოუვარული გუ-  
ლით გამთბარი მოსაქმე-მომქმედი კაცი.

და ასეთი კაციც მოეგინა ამ ბედისაგან  
მიტოვებულ კუთხეს...

ეს არის ბორჩალოს მაზრის თაყა-დანაურთა  
კონსტანტინე იოსების-ძე  
სვიმონიშვილი



კონსტანტინე იოსების-ძე  
სვიმონიშვილი  
ბორჩალოს მაზრის თაყა-დანაურთა  
წინამძღოლი

წინამძღოლი კონსტანტინე იოსების-ძე სვიმო ნიშვილი, ანუ—როგორც უძახიან: „ჩვენი კოტე სვიმონავი“,—რომელიც ხუთი წელიწადი იქნება, რაც ხალხს ნამდვილი მამად, მადლმოსილ წინამძღოლად მოეგვინა. მან საქმით, უგვირვალად, უხმაურად დაამტკიცა რადენი სიკეთის მოტანა შეუძლიან ხალხის ნამდვილ გულშემატკივარს, თუ მოინდომა, ისე რომ ანც კანონიერი ფარგლები გადალახოს, სახელმწიფოებრივი ინტერესებიც დაიცვას და მშაბელი ერის გულს მოწყვეტილი ბეჩავი ხალხიც გულისხმას ჩაატყვეს, გადაგვარება-დაღუპვისაგან დაიფაროს!..

ვინ იყო და რა წინად კ. ი. სვიმონიშვილი, ჩვენ ეს არ გვიანტერესებს, ხოლო დღეს რომ იგი ეროვნულ-ხალხურ საქმეს გულწრფელად მთელის თვის არსებით ემსახურება, ამას ნათელ ჭეოფს მისი საქმენი!..

რა გააკეთა ანუ რას აკეთებს კ. სვიმონიშვილი?

კ. სვიმონიშვილმა: 1) შექმნა ქართული საქველმოქმედო საზ-ის ადგილობრივი განყოფილება (დღეს 100 წევრი ჭეავს), რომლის მონაწილეთა (კოტე სვიმონიშვილის თაოსნობით) ა) ქ. შ. წ. კ. სა-ზ აბამ სკოლა დააფუძნა ს. წერაჭეში, ბ) ქართ. საქე-მოქ. საზ-ის მთავარმა გამგეობამ 1000 მან. გადასდო ბორჩალოს მაზრის ქართულ სკოლებში (დიდი გომარეთის, ვადაშვილისა და აკაურთის) შეღებულების ქსოვის სწავლების შემოსაღებად (ამ დარკს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ მკვიდრთათვის); 2) დააფუძნა წითელი ჯვრის განყოფილება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კუთხისათვის, რადგან აქ მესაქონლეობას ფართოდ ადგილი უკავია და ამ დარკში გონივრული დარიგება-ხელმძღვანელობა ფრად საჭიროა; 4) როგორც სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ ხალხს უჩნია და სოფელიდან მინდვრად ძალით გაზიდვინა უამრი სასუქი. ამით ერთის მხრივ თუ, შედარებით, სოფელი გაასუფთავა, მეორის მხრივ მინდვრის გაზოხიერება უჩვენა ხალხს. ხალხმა დაინახა მისი ორგანიზაციის სარგებლობა და ახლა თვითონვე, ძაღდატრანსპორტი, ისუფთავებს სოფელს და აზოხიერებს გამოფიტულ მიწას. 5) ხალხის ნივთიერად წინ წასწავლად და ჩარბითა ბრჭყალებსაგან თავდასაცხენლად ს. ბაშკი

ჩეთში დაარსა სამეურნეო ბანკის განყოფილება, რითაც გლეხკაცობა დიდთ სარგებლობს; 6) შეამდგომლობა აღძრა, რომ დიდ გომარეთში დაფუძნდეს უმადლესი პირველდაწვებითი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით და ქართული ენის სწავლებით, 7) ადგილობრივ მასწავლებელ ლ. ძიძგურთან ერთად დაიწყო კომპერტივის გაცხენის საქმე და სხ.

იგი ვეკლას ზემოთ დაწვესებულებათა თავმჯდომარე ანუ თავმჯდომარის ამხანაგია და ვეკლავს დიდის თავგამოდებით მუშაობს: მისთვის „ხვალ იყოს“ არ არსებობს, კარს მომძღვარი საქმე თავის დროზე უნდა გაკეთდეს.

ერთის თავადის შესედეით უოველივე ეს, თითქოს არაფერია, რომ კაცს სამოღვაწეო ანგარიშში ჩაუთვალს, მაგრამ ვინც ჩვენს დატეხულ სოფელს იცნობს, სწორედ ასეთ მუშაობას დასდებს დიდს ფასს., ხალხის სიბნელის გაფანტვას და მის ნივთიერად აღორძინებას რომ ხელი შეუწეო, — განა ეს ნაკლები მოღვაწეობაა?!

მაგრამ ვეკლავს ამასვე უფრო დირსშესანიშნავია კ. ი. სვიმონიშვილის ნამდვილი მამუდიშვილურ ხალხოსნური მოღვაწეობა.

მისი მუშაკობის შესახებ, სხვათაშორის, შევეკითხებით დიდი გომარეთის ქ. წ. კ. სკოლის მასწავლებელს ლავ ძიძგურს, რომელმაც შემდეგი მოგვწერა:

„კოტე სვიმონიშვილი! — ეს ისეთი სახელია, რომელსაც სიყვარულითა და დიდებით იხსენიებს ბორჩალოს მზრის ყველა ქართველი. მას უყვარს ისინი და უკანასკნელნიც ერთულ და მოყვარული მამასავით შესტკეირან მას. სვიმონიშვილი ყოველთვის მალამოდ ედგება ბორჩალოს ქართველობის წყლულსა და იმისთვისაა. რომ გაჭირვების დროს ყველა მასთან მიდის, ყველა მის კალთას აფარებს თავს... ბ-ნი სვიმონიშვილი დაუღალავად მოგზაურობს ბორჩალოს ქართველთა სოფლებში და ყველგან შეაქვს მამულიშვილური გრძობა, თვითშეგნება და სწავლა-განათლებლისადმი სიყვარული ..

მოუსავლობისა და შიმშილობის დროს ის ბევრ სოფელს დახმარებია-და სრულიად უსასყიდლოთ აღმოუჩენია მათთვის დახმარება. „კარი ჩემი ღიაა თქვენთვის, თავი ჩემი მზ თაა თქვენი სამსახურისთვის“, მუდამ ეუბნება სოფლელებს და აკი ყველა თავისუფლად გრძობს თავს მასთან... ყველა დაურიდებლად მიდის მასთან...

ათმცა იგი ბორჩალოს მაზრის თავად-ზნაურო-

აის წინამძღოლია მაგრამ მუდამ გლენებთან არის. მათთან სტირის და მათთან ხარობს“.

მისმა მოდერნიზაციამ ერთის მხრით თუ შთაღლი ქართული მოსახლეობა წარმატების გზას შეუყენა და მის მადლიერნი არიან, \*) მეორეს მხრით ადგილობრივი სოციალური ბნელი ძაღვი ცხადდევ თუ ფარულად სდევნიან მას, ასმენენ სდაც ჯერ არს, ვითომც იგი გადასეტყობით ჭკერძავდეს ხალხს და განსაკუთრებითი მზრუნ-

\*) სხვათა შორის, ადგილობრივმა დიდმა მემამულეთაგანმა, თავ ნიკ. ევ. ქობულაშვილმა თავის მამის გენოს ხოვანის დსანიშნავად კ. ი. სვიმონი-შვილს აღუთქვა 259 დესეტინა მამულის დათმობა (სოფ. კოზირეთში), სად კ. სვიმონიშვილს განუზრახავს სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა სახელო-ნო განყოფილებით.

ველობით შეარგებლდეს ეგვიპტესაგან მივიწიებულ ქართულებს. მაგრამ იგი მუდამ სიმართლისა და სამართლიანობის გრძნობით ადკურვილი მტკიცედ მისდევს ერთხელვე არჩეულ გზასა და, დრმათა, სწამს, რომ ხალხის გონებრივად განვითარება, ნივთიერად აღორძინება და მშობლიურ ნიადაგზე გათვითცნობიერება სასემწიფოს არა თუ ვნებს, არამედ უფრო მეტად ასარგებლებს.

ამ ხალხის გულშემატკივარს ესურვებთ მხსენებლსა და მიმბაძველების გაჩენას ჩვენი მივიწიებულ მიერუებულ კუთხეთა საკეთილდღეოდ. და, ავთა ენათ ისინიან, — ხალხს მის ამაგს დაინახვს. იოსებ არიმათიელი

### ომში წასულ შვილებს

მშვიდობა თქვენდა მებრძოლნო, ომში წასულო შვილებო, ტანჯული გულის ნაგლეჯნო, ვაგბით გამაზრდილებო! გილოცავთ ახალწელიწადს, თქვენი მლოცველი გულითა, მიიღეთ წრფელი სალამი, აღსავსე სიყვარულითა!

გული არ დაგწყდეთ და თავი არ მისცეთ სივალადესა, დედები არვის უმზადვენ გოზონაყს, შაქარლამებსა; მათი ს-ცოცხლე ტანჯვაა, ოხვრა და კენესა გულის, რადგან წაერთოთ ნუგეშო, სიამე სიხარულითა.

მათი ცხოვრება შხამია, გლოვა, ვაგბა, სულის, რადგან აროდეს უნახავთ ცისკარი გაზაფხულისა... განა სულ სისხლი, სიკვდილი ასატანია გრძნობისა და არ გაქრება მიზეზი სიამის, წარმართობი ა?!

შორს ეს გულ-სვაგი სიხარბე, შურით წამლები ცნობისა, ცხოვრების დუხჭირ ნანგრევზე მოვროთოთ სიმღერა ძმობისა; დავძახოთ, სხვებთან ერთათა ჩვენი ბედიცა წყდებოდეს, რომ ნორჩი ძალა სიკოცხლის უნაყოფოდ არ წყდებოდეს.

დღეს კი სალამი, შვილებო, მოძღვნილი წრფელი გულითა, მიიღეთ ვითა დედისგან, აღვსილი სიყვარულითა!.

*გაბია ახვლედიანი*



**კაპიტანი იუვენალ ახვლედიანი**  
შვილი იაპონიის ომის გმირის იაპონისა, ნიჟე-გოროდს კადეტთა კორპუსსა და მოსკოვის ალექსეევის სამხედრო სასწავლებელში კურსის დასრულების შემდეგ 1909 წ. გამწესდა აფშერონის პოლკში და ახლანდელ ომის ბევრს ბრძოლაში მამაცური მონაწილეობის გამო მრავალჯილდო ჰქონდა მიღებული. უკანასკნელად მსარდლობდა პოლკს. ენკენისთვის 17 ცხარე იერიშის დროს მოკლულ-იქმნა, დაბადებიდან 28 წლისა, ამხანავთა შორის ცნობილი იყო, ვითარცა მამაც წინაპართა ღირსეული მემკვიდრე.

# მოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის შთახსობიდან გადმოკეთებული გრ. საქარიქედელის მიერ

გაგრძელება, იხ. 1916 წ. „თ. და ც.“ 49-52)

**მწერ.** არა უშავსრა მამაო, მღვდელს მაინც დიდი პატივისცემა და გავლენა აქვს მთავრობასთან. სამღვდლოებს ნდობის თვალთ უყუარებს მთავრობა. ჰო, იმას მოგონებდები მამაო ათანასე, თქვენ, მამასახლისმა და კეთილ-სინდისიერა (ხელს უშვერს მათკენ) ამ საწყალ კაცს მოწმობა უნდა მისცეთ. ქალღმერთები მზათა მაქვს, მხოლოდ თქვენი ხელის მოწერა და ბეჭდის დასმა უნდა. აი მამაო ქალღმერთები (აძლევეს) წვიკითხეთ.

**ათან.** (სიცილით) როგორ დამცინით! შენ კარგად იცი, რომ მე ხელთნაწერის კითხვა არ ვიცი. სწავლული კაცი თქვენ ხართ, კანონებიც თქვენ ხელთ არის, თუ ეშველიბა რამე და უშველით, ღმერთი გადაგიხდით სამაგაეროს. მე ერთი უსწავლელი სოფლის მღვდელი ვარ, ამისთანა საქმეების აბა რა გამეგება. თუ იმის მოწმობაა საქირო, რომ ბაბალე ღარიბი ქვრივია, ამის უარს ვინ იტყვის.

**ბაბ.** (თავს აქნევს) მამა ათანასემ სულ იცის ჩემი გაქირვება.

**მწერ.** (ბახალეს და მის შვილებს) იმედია გეშველებათ, რადგან მღვდელმა მოწმობის მოცემა ინება. (ღვჯელს) აბა, მამაო, ინებეთ ქალღმერთები, რადგანაც სიკეთე უყავით ამ საწყალ ხალხს, შეამოწმეთ ქალღმერთები ბარემ მოვრჩეთ ამ საქმეს. იმედია გახსმას გვაქმევენ.

**ბაბ.** კი ბატონო, აბა ისთე როგორ იქნება. ღარიბები ვართ, მაგრამ ხომ გავგიგონიათ, ღარიბი კაცის ლუკმა გემრიელიაო.

**ათან.** (ფიქრის შეძვეგ მწერალს) კანონების მცოდნე თქვენა ხართ და ჩემგან რაღა გაფრთხილება გქირიათ. იმედია არც შეცდებით და არც შემაჯდნთ. როგორც მოვასხენეთ, მე ერთი უსწავლელი მღვდელი ვარ...

**მწერ.** რა ბრძანებაა მამაო, როგორ გეკადრებათ, მე ჩემი თავი გაზეტებული ხომ არა მაქვს. აი წავიკითხოთ: (კითხულობს) აბაბალე ქვრივი უნათლოშვილისა, რომელსაც

დლიდან ჯვარის წერისა, ხუთი წლის შემდეგ მოუკვდა ქმარი ოქროპირ უნათლოშვილი, დარჩა ორი ობოლი: სოფონა და ოქრუა. ქვრივმა ბაბალემ წვითა და დავით გ მოზარდა თავის ორი შვილი; დღეს ბაბალეს სოფონას და ოქრუას გარდა სხვა მარჩენალი არავინა ჰყავს, ბაბალე ღარიბია. აი, მამაო, ეს უნდა შეამოწმოთ თქვენ.

**ათან.** აგი ქვეყანამ იცის, რომ ასე იყო. მთელი სოფელი დეწიციებს ხატზე, რომ ბაბალე ღარიბია. აი ინებეთ ბეჭედი (აძლევეს მასე ბეჭედს დაჯერავს ქადაღვსე).

**მწერ.** მამაო, ხელის მოწერაც საქიროა. (ქადაღვებს აძლევეს)

**ათან.** (ხელს აწერს) გეცინება გლახათ რომ ვწერ არა? რა გაეწყობა, შვილო, ჩემ დროს „სემელარიები“ და „ღუბონი“ შკოლები არ იყო. ცხონებულმა დათა დიაკონმა მასწავლა სახელის და გვარის მოწერა. მეტი არ უსწავლებია, თორემ მეტსაც ვისწვლიდი აბა, როგორც იქნა მოვაწერე.

**მწერ** (ქადაღვებს აშრობს, მამასახლისს და კეთილ-სინდისიერს) აბა, ეხლა თქვენი ბეჭედი საქირო. (აძლევეს ბეჭედს და მწერალი დასწავს ქადაღვებზე.) (სოფონას) ოთხი მანეთი მომიტანე, თუ გაქვთ ხურდათ, სოფონა, თუ არა გაქვს მე მიეცემ და მერე გავასწოროთ ანგარიშები.

**ბ.ბ** კი ბატონო, გახლავს! (აძლევეს ფულს.)

**მწერ.** (მღვჯელს) აი მამაო, მიირთვით ბეჭდის ფული, (აძლევეს ორ მანეთს) თქვენი გასამრჯელო. მცირეა, მაგრამ რა გაეწყობა, ნუ დაენღურებით, ღარიბი ხალხია.

**ათან.** (გაკვირვებით) რაი, მე ბეჭედის დასმის ფული ავლო, ისიც ამ ოჯახიდან! ამისი თქმა რეიხა იკადრე ამ სწავლულმა კაცმა!

**ბაბ.** გამდლობთ მამაო, გამდლობთ. ღმერთმა თქვენი მოწყალე თავი დიდხანს გვი-

კოცხლოს.

**მწერ.** (აძღვეს თითო მანეთს მამასახლისს და კეთილ სინდისიერს) აი, თქვენ მაინც აიღეთ.

**მამასახ.** არა, არც ჩვენ ავიღებთ ამ ოჯახიდან.

**სოფონა:** ეიღეთ თქვენი ფეხის „პრაგონი“! (მამასახლისი და კეთილ-სინდისიერი აწთმევენ ფუფს) **გრ. საქარიქედელი** (გაგრძელება იქნება.)

# პაემანი

სასახლწლო.

ახალ წლის პირველ დღეს, საღამოს ექვს საათზე პაემანი აქვს დანიშნული ნესტორს ლამაზ კატოსთან. მიხეილის და კრილოვის ქუჩის კუთხეში შეხვდება ნესტორი თვის კატოს!.. მშვენიერ კატოს.

ამის გაფიქრებაზე ნესტორი სიხარულით შეკუნტრუშდა და ხელი ხელს შემოჰკრა. ძლიერ უყვარს ნესტორს ეკატერინა..

ნესტორს თვის მარტო-ხელა ოთახში არ უყვარდა ყოფნა და ამიტომ ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. ქუჩა ხალხით იყო სავსე. ახალ წლის მოლოდინში ყველა აჩქარებული მიმოდინდა. რასაკვირველია, ნესტორი თვის თანამოსამსახურე მეგობართან გაემართა, გიგოსთან, რათა ლაყბობაში გაეტარებინა დრო, გიგოც მარტო ხელი იყო.

— აა! ჩემს ნესტორს!

— გამარჯობა, გიგო! ბიჭოს. აქ გიგოს გარდა სხვებიც ყოფილან.

თამბაქოს ბოლით გატენილ ოთახში ოთხი სხვა მეგობარი დახვდა ნესტორს.

— ოჰ! ნესტორი როგორა ხარ? სხვა, ვინ არის კაცო ის ქალი გუშინ-წინ რომ სინემატოგრაფში ერთად იყავი?

— ის... ჩემი კატოა! — ნესტორი გაწითლდა.

— ჰა! მამილოცნია, მამილოცნია! მაშ, შეყვარებული ხარ? ყურებადის? კეფადის?

საერთო მოლოცვებში კარგა რიგიანად დაზინდა ნესტორს მარცხენა მხარი, რადგან ყველა, ნიშნად მეგობრობისა, მხარეზე უბარტყუნებდა ხელს.

— უყურეთ, როგორ გაწითლდა! ალბად ძლიერ გეყვარება!

— ძლიერ მიყვარს!

— იმასაც უყვარხარ?

— ჰო!

— არა, ყმაწვილებო, ეს შემთხვევა ასე არ უნდა დარჩეს, — წარმოსთქვა მეგობარმა ნიკომ, — ნესტორს ბედი სწვევია. ნიშნად ამისა ეხლავ, ამ წუთში ნესტორმა ლაზათიანი ვახშამი უნდა გაგვიმართოს!

— კაცო, რა დროს ქეიფია? ხვალ ახალი წელია და ქეიფიც სწორედ ახალ წელს უნდა, — უბასუხა ვანომ.

— ხვალ ნესტორს არ ეცლება. პაემანი ექნება დანიშნული! მართალია, ნესტორ?

— მართალია!..

— რომელ საათზე?

— საღამოს ექვს საათზე!..

— სად?

— მიხეილისა და კრილოვის ქუჩის კუთხეში.

— ამფერ, ჩემო ნესტორ!..

— მაშასადამე ვახშმის გადადება არას გზით არ მოხერხდება. ეხლავ უნდა გაიმართოს ვახშამი. დატრიალდით ნესტორ, გიგო!..

—

ახალ წელს, დილის ხუთ საათზე სადღეგრძელო ეკუთვნოდა საერთო მეგობარს ვანოს..

— აბა, ყმაწვილებო, მე... მე ორ სტაქანს ვერ დავლევ... მე..

— ერთია — წარმოსთქვა უფრო ფხიზელმა სოსომ..

— მა... მართალია... თვალი ორსა ჰხედავს, ხე... ხელი კი ერთსა გრძნობს... მაშ მე ვადღეგრძელებ იმ კუ... კუბოს ფიცარს, რომლიდანაც იქნება გაკეთებული ჩემთვის კუბო... ამხანაგებო... ადღეგრძელოს! — ნახევარ კიქა ღვინომ თვისი ნამღვილი დანიშნულება ვერ შეასრულა და საყელოში ჩაუბღბდა... — მე ვა... ვადღეგრძელებ... — ვანოს სიტყვები აღარავის ესმოდა... იგი მოშტერდა თევზის კუდს, რომელიც მის წინ ლამაზაქზე ილო: ეხლაც ინაფარდვ თევზოჯან... აბა, თუ ბიჭი ხარ... ჰობ-ლე, — თევზის კული ნესტორს მოხვდა ლოყაზე.

— უბა... უბატოსნოდ იქცევი ვანო!..  
შენ მი... მიაცენე შეურაცხყოფა იმ ლო...  
ლოყას, რომელიც უნდა დაიკოცნოს კატო-  
საგან, მე.. მეწყინა

ამ შემთხვევამ ფართო ხასიათი მიიღო  
და ვანომ ჯარიმად მიირთვა ღვინის ბოთლის  
პრობა, წვრილად დაქრილი..

— ექვსი სა... საათი ხდება... მე მივ-  
დივარ ჩემ ეკატე... კატოსთან, — წარმოსთქვა  
ნეტორმა და ადგა.

— აღრეა...

— არა... მივდივარ... მე .. მე... აქ ვე-  
ლარ დავჩნები, ოთახი ტრიალებს.

— ტრიალებს.

ქუჩის ცივმა ჰაერმა ცოტათი გამოაფხი-  
ზლა ჩვენი ნაცნობნი, მხოლოდ იმდენად კი  
ვერა, რომ ქუჩაში ბოძები ადამიანებისაგან  
გაერჩიათ

— გაშარჯობა შენი, სტეფანე... ჰოო!..  
ხელსაც აღარ მართმევ? კეთილი, დავიხსო-  
მებ...

ტრამვაის რკინის ბოძმა ვერაფერი უბა-  
სუბა შემკვიხველს, რისთვისაც მუჯლუგუნე  
მიიღო. ქალაქს ეძინა...

— ჩვენ სადა ვართ? მთვა... მთვარეზე  
თუ დედამიწაზე? — შეეკითხა ნესტორი შუა  
ქუჩაში მდგომ წესიერების დამცველს — გამარ-  
ჯობა...

— გაიარეთ!.. სახლში წადით.

— არა, მე შენ გეკითხები სადა ვართ?  
მე კრილოვის ქუჩა მი.. მინდა.

— მეგობარო! შენ ხომ იცი, რომ ნეს-  
ტორი შე... შეყვარებულია... კატოს ეძებს...  
გვი... გვითხარი.

— წადით, წადით სახლში. ქუდები არ  
გხურავთ, გაცივდებით.

— ჩემი გული ცხელია. არ გა... გა-  
ცივდება... შენ კი გულ-ცივი ყოფილხარ...  
უფმური. ფუ... — ნესტორმა შეაფურთხა წე-  
სიერების დამცველს, რამაც გამოიწვია უკა-  
ნასწენლისაგან სასტვენში ჩაბერვა და გაჩენა  
ხუთი მეფხოვესი... მთელი ჩვენი პატიოსანი  
საზოგადოება გაამგზავრეს საპოლიციო ნაწი-  
ლისაკენ...

— მშვიდობით, მე.. მეგობრებო, მიე-  
დივართ სარჩობელაზე, — მათ დაჰკოცნეს ერ-  
თმანეთი, ცრემლებიც მოიწმინდეს.. მივიდენ  
საპოლიციო ნაწილში...

— ბევრი ლაპარაკი საქირო აღარ არის...

როდესაც ნესტორი საღამოს ექვს საათ-  
ზე კიდევ მაინც დაუხვდა თვის კატოს კრი-  
ლოვის ქუჩაზე, ცოტათ დაზიანებული იყო.  
ცხვირიდან დაწყებული მარცხენა ყურამდე  
მის სახეზე ნათლად იყო გამოხატული კულ-  
ტურული საუბარი მისი საპოლიციო ნაწილ-  
ში. ხმა ჩახლეწილი და თვალეზ ჩალილავე-  
ბული შეხვდა იგი კატოს...

კატო მას გაექცა... დაღვრემილი დაბ-  
რუნდა ნესტორი თვის ოთახში, ერთი კი გუ-  
ლიანად მიაფურთხა კედელს, — სხვა არაფერი  
ჩაუდენია...

გუგული.

### რანი ყოფილან.

რამდენიმე წლის წინეთ ქართულ გაზეთ-  
ში ამოვიკითხე დასახლოებით შემდეგი: მამა-  
შვიდი ათვადიერებენ საქართველოს ციხე-კოშ-  
კებს, მონასტრებს და ძეგლებს. შვიდი აღტა-  
ცებულნი ამ სანახაობით წამოაძახებს: „მამა, რა-  
ნი ყოფილხართ!“ მაგრამ მამა გულ-დათუთქუ-  
ლი უპასუხებს: „შვილო, შენ უფრო მართალი  
იქნები, რომ თქვა, რანი ყოფილან!“ და არა  
„რა ყოფილხართ!“ ჩვენ ეს ხანდაღი ქართველ-  
ნი, იმ წინაპრების შთამომავლები ვართ რომელ-  
ნიც ურცხვად სორაკებში ძვრებოდნენ, როდესაც  
ვით სამშობლოს ტეტსლითა და მახვილით მტე-  
რი ანადგურებდა, და ამ სორაკებს აღწევდნენ თავს  
მსოფლოდ მამინ, როდესაც მათ ზირად კეთილდღე-  
ობას საშიშროება აღარაფერი მოელოდა. ის გმი-  
რები, ნამდვილი გულწრფელი მამულიშვილები კი  
აწუდებოდნენ თვის წმიდათა წმიდის შემბღვა-  
ლველთ და გამანადგურებელთ, რადგანაც „სი-  
ცოცხლესა ნაძრახსა“ არჩევდნენ „სიკვდილსა  
სახელოვანსა“.

... და გაჭქრენ ისინიც ისე, როგორც  
გაჭქრა ჩვენი სამშობლოს დიდება და ზატიოა.

დრმად დამაფიქრებელია მამის სიტყვები.  
ეს ხანდაღე საგულისხმეორო მომენტში, როდესაც  
ესაგულებს, როგორც თავისუფალის, აგრედვე  
დამონებულის, უფუნა არ უფუნის საკითხისა წა-

მოყენებული: როდესაც საფრთხეში შეიჭრა სამშობლო ჰინდუნი თვალეში შესხრება თვის შვილებს და მათგან ელის ხსნას, ქართველი ერთი რითი უმტკიცებს თვის ჩაბაღას-ასდილ და განწყაშებს სამშობლოს ერთგულებას და თავდადებას, რითა უმტკიცებს, რომ შეუძღვანოს მამა, როდესაც ასეთ საშინელ და მწარე ბრძალებს უყენებს წინ?

დღევანდელი დიდებული, განუყოფელი დრო დასმტკიცებს და ისტორიას გადასცემს ჩვენს ერთგულებას და ორგულობას ჩვენ დიხსეულ და კეთილშობილურ ქვეყნის წინაშე და ვაი მამან ჩვენს ყოფნას, ჩვენს ახსებობას, თუ მართლა სამუდამოთ გამქრალა ჩვენში გმირული სული და თავგანწირული სიუკარული მამულისადმი.

ანნა ვართავავა

### დაჭრილი ძეცხვარე

სადამოს ჟამი იყო. მოელვარე მზის სხივები სამხრეთისაკენ სწრაფად გადაექანა. ასტყლა ცელქი ნიაფი, ვაბა თვისებური ზღაპარი და მიყურებულ-მიძინებულს ბრძოლის ველს უმაღვე ელფერი უცვალა.

სისხლით მორწყული მინდორ-ველი წითლად ლაპლაპებდა, დაჭრილ დახოცილების გვამები ქუჩ-ქუჩად აქა იქეყრა. იქვე, განმარტოებით. მიძინებ დაჭრილი ქართველი ბექობზე მიწოლილიყო, ფიქრებში ვართული.

— ვინ, ვინ მიუკვლევს ოხერ ობლად დარჩენილ ოჯახს, მოხუც დედასა, ცოლსა და ბაღდებს?—მის გულის სიღრმიდან მწარე ოხერის და კენესის ხმა გაისმოდა.

— ოჰ, ნიაფო, საიდან მოჰქრი, რომელ კუთხიდვან

დაჭრილს მეომარს ვახსენდა თავისი სამშობლო, უნუგეშოდ დაშთენილი დავრდოილი მშობლები, უპატრონოდ მიტოვებული ცხვარი, უფრო ვაჟორკეცდა ქრილობა. მოაგონდა ბედკრულს, ოდეს თავისუფლად, ამაყად დანავარდობდა თოვლით დაფენილ მაღალ მთის მწვერვალებზე, მოაგონდა, ოდეს ამწვანებულ მთის ფერდობებზე ცხვრის ფარას აძოვებდა და, ჯოხზე დაყრდნობილი, სალამურის კვრით ცხვარს საძოვრად აქებებდა.

მოაგონდა ყოველივე ეს და დაღონებულს გული ამოუჯდა, ჩაქინდრა თავი და გაჰყვა ოცნებას...

შემდეგ თავი აიწია, ირგვლივ არე-მარეს

თვალი მიმოავლო. წაიღო ხელი უბისაკენ და სამშობლოდან წამოდებული ლერწამის სალამური ამოიღო.

დაჭრილი მეცხვარე დიდხანს დააქკერდა მას. მერე მოიკრიფა მთელი თვისი ძალღონე და ჩაჰბერა სალამურს... გაისმა გულწარმტაცი ხმა სალამურისა, ხმა მომხიბლავი და მკრძნობიარე.

სალამურის ხმამ ისე მოაჯადოვა ყველა, რომ თითქო თვით ბუნებაც სმენად გარდაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ უცებ შესწყდა ნარნარი ხმა სალამურისა და დაჭრილ მეომრის სიცოცხლის ძაფიც გაჰსწყდა. განუტევა სული ბედკრულმა უცხო მიწა-წყალში, შორს, შორს ცხრა მთას იქით. ვ. ათანელაშვილი

### გოზინაყის ძაგეერი

ვისაც ერგოს—შეერგოს

(გამოცანები)

სული გაჰქრა, ხორცი ღებდა,—  
ეშმაკეთი თავს გე ღებდა!..

შვიდი ლალა, ენის მქონი,  
და არც ერთი მის პატრონი!..

ჰაი-ჰუი, ჰალაჰალა,—  
სხვამ კი ცხვარი გაილალა!..

გიმრავლდება შარით მტერი,  
ახლოს კი ხარ თვითონ შტერი!..

სული ქაჯსა, გული კუქსა,—  
ვაი შენსა ბაქი-ბუქსა!..

ბაკი... ბუკი... ბაკარა,—  
ვინც შევიდა—დაცარა!..

მიცვალბულნი ჰბორგავენ,  
თვის ახლო რომ არ გხედავენ!..

ნაბიჯ-ფართე, ენა-გრძელი  
სად გინახავთ ოჯახთ მცლელო!..

ბახული და შეღპომენე  
ერთი თუა, გეთაყვანე?!  
—

უკუდო და რქა-მომძვრალი  
ყველასია ქირთუფალი!

მკლავ-ფარფატა, ჰკვა ცენტერა,  
ხან ხუცესი, ხან ტერტერა!..

იზიძე

# V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული შურნალი

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ კვირას

## თეატრი და სსოპრები

(წელიწადი შესუთე)

გამოვა სრული პროგრამით,

შურნალი კარბითო გარეშა, პროგრესული მიმართულებასა

### აკაკის

„ნაკვეთი და ზრახული სიტყვები“ ავტორის სურათებით ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

### ჭ. ლომთათიკის

„რჩული აზრები“

რის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

უკვე ცნობილი რედაქციით

4-ურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

შურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევანის წლით. 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ევლგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის ღირს 3 მ., 1-მისამდე—3 მ. 1-ელ კენებისთვის 2 ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მაღათვის კუნძული, № 1, გორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მოწერა ფული უნდა გამოვზავონ შემდეგის მ-სამართით: Тифлис, ред. „Театри да Цхоიриа“ Иосифу Имедияшвили. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქართველ ხელოვანთა სიზ-ის თაოსნობით „დიდების ტაძარი“ (გოფოინის პრესპექტზე) გამომართება  
ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკების გამოფენა

გამოფენა გაიღება იანვრის 4, შუადღის 1 ს. გამოფენის დაწყებამდე ექვ. სვ. თაყაიშვილი წაიკითხავს ლექციას ქართულ ფრესკების შესახებ. შესვლის ფასი პირველ დღეს: 1 მან., მოწაფენი ფორმით-50 კ.

## ხარკუხის საზოგადო კლუბი

- (მიხეილის პროსპექტზე, № 163)
- ერთი კვირის პროგრამა იანვრის 1-7
- ორშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.
- სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკესტ.
- ოთხშაბათი—ქართული სიმ. ორკესტ.
- ხუთშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკესტრი.
- პარასკევი—სიმებიანი ორკ. წარმოდგენა
- შაბათი—სიმებიანი ორკესტრი.
- კვირა—სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.
- შესასვლელი ფასი: ქალბო და სტუდენტები—25 კ. მამაკაცი 50 კ.
- დასაწყისი: წარმოდგენა—კონცერტებისა სალ. 8 ნახ. ს.—სინემატოგრაფი—9 ს.

## ახალი კლუბი

- კვირის პროგრ. იანვრის 1-7
- კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.
- ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.
- სამშაბათი—საოჯახო საღამო
- ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.
- ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
- პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.
- შაბ.—რიადნოვის საღამო
- კვირა—რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.
- დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. სალ. 8 1/2 ს. შემსახ. ფასი მანდილოსნ. 50 კ, მამაკაც. 1 მ.

